

# პოლიტიკისა და დემოკრატიის განვითარების განხორციელების გეგმის შესახებ სამოქალაქო სივრცის უზრუნველყოფის გარდასახვის ნაბიჯი



პარლამენტში ინიცირებულია კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს წვრილმან ხულიგნობაზე, ასევე პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობაზე პასუხისმგებლობის ზომების გამკაცრებას. კანონპროექტი განიხილება დაიქარებული წესით.

ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური და სოციალური კრიზისის ფონზე, მაშინ როდესაც საზოგადოების პროტესტი მზარდია, ხოლო ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა უკიდურესად მძიმე, აღნიშნული ცვლილებები მძიმე ტვირთად დააწვება მოსახლეობას და სამოქალაქო სივრცის შეზღუდვისკენ გადადგმულ ნაბიჯად შეიძლება შეფასდეს.

**კანონის პროექტი, ინიციატორი**

**პროექტი:** „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“

**ინიციატორი:** პარლამენტის წევრები: ანრი ოხანაშვილი, დავით მათიკაშვილი, ალექსანდრე ტაბატაძე, რატი იონათამიშვილი, გიორგი ამილახვარი, ალუდა ლუდუშაური, გურამ მაჭარაშვილი, კახა კახიშვილი

**კანონპროექტის ანალიზი**

აღნიშნულ ცვლილებებზე ინიციატორები განმარტებით ბარათში უთითებენ, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენისთვის ამჟამად მოქმედი სახდელის ზომა ვერ უზრუნველყოფს ამ სამართალდარღვევათა ჩადენის პრევენციას. მათი თქმით, ეს სამართალდარღვევები თავიანთი ხასიათითა და ბუნებით მომეტებული საშიშროების შემცველ სამართალდარღვევებს წარმოადგენენ, შესაბამისად, სახელმწიფომ უნდა შექმნას უფრო ეფექტიანი საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც ამ სამართალდარღვევების ჩადენის პრევენციას მოახდენს.

წარმოდგენილი პროექტით:

- მძიმდება წვრილმანი ხულიგნობის ჩადენის შემთხვევაში ჯარიმის მინიმალური ზღვარი (განმეორებითი ჩადენისას) 500-დან 1500 ლარამდე, ხოლო მაქსიმალური ზღვარი 1000 ლარიდან 2000 ლარამდე იზრდება;
- სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის და სხვა შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს წარმომადგენლის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობისათვის პასუხისმგებლობა მკაცრდება - ჯარიმის მინიმალური ზღვარი 1000 დან 2000 ლარამდე, ხოლო მაქსიმალური ზღვარი (განმეორებითი ჩადენისას) 4000-დან 4500 ლარამდე იზრდება.

## პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობაზე პასუხისმგებლობა

მოქმედი ჩარეგულირება	შეამოთავაზებული სვლილება
სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის და სხვა შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს წარმომადგენლის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა, ან ამ პირის სიტყვიერი შეურაცხყოფა ან/და მის მიმართ სხვა შეურაცხმყოფელი ქმედების განხორციელება იწვევს დაჯარიმებას 1 000 ლარიდან 4 000 ლარამდე ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 15 დღემდე ვადით.	<ul style="list-style-type: none"><li>• იზრდება ჯარიმის ოდენობა, კერძოდ ამ ქმედების ჩადენა გამოიწვევს დაჯარიმებას 2000 ლარიდან 3000 ლარამდე ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 15 დღემდე ვადით.</li><li>• განმეორების შემთხვევაში, სამართალდამრღვევი დაჯარიმდება 3500 ლარიდან 4500 ლარამდე ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 10 დღიდან 15 დღემდე ვადით.</li></ul>

## წვრილმანი ხულიგნობა

მოქმედი ჩარეგულირება	შეამოთავაზებული სვლილება
წვრილმანი ხულიგნობა <sup>1</sup> ისჯება ჯარიმით 500 ლარიდან 1000 ლარამდე ოდენობით ან, თუ საქმის გარემოებებისა და სამართალდამრღვევი პიროვნების გათვალისწინებით ამ ზომის გამოყენება არასაკმარისად იქნება მიჩნეული, - ადმინისტრაციულ პატიმრობას 15 დღემდე ვადით.	წვრილმანი ხულიგნობის განმეორებით ჩადენა გამოიწვევს დაჯარიმებას 1500 ლარიდან 2000 ლარამდე ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 7 დღიდან 15 დღემდე ვადით.

## შეჯამება

- 1. კანონპროექტის დაიქარებული წესით განხილვა დაუსაბუთებელია**

კანონპროექტი დაიქარებული წესით განიხილება, თუმცა ამ წესით განხილვის საჭიროება არ არის სათანადოდ დასაბუთებული. კერძოდ, განმარტებით ბარათში აღნიშნულია, რომ „ადმინისტრაციული სამართალდარღვევების სიმძიმედან გამომდინარე, პროპორციული პასუხისმგებლობის დროულად დადგენის საჭიროების გამო მიზანშეწონილია, კანონპროექტი განხილულ და მიღებულ იქნეს დაიქარებული წესით.“ ამ წესით აღნიშნული ინიციატივის განხილვა არ უნდა მოხდეს ფართო საზოგადოებრივი ჩართულობისა და დისკუსიის გარეშე.
- 2. სანქციების ოდენობა არ არის მისადაგებული ევროპული ქვეყნების სტანდარტებთან**

კანონპროექტის ავტორებს სანქციების გამკაცრების მთავარ არგუმენტად **სამართალდარღვევების გაზრდილი რაოდენობა მოყავთ**. საქართველოს უკიდურესად მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის ფონზე, სრულიად გაუგებარია ჯარიმის ოდენობის ზრდა. აღსანიშნავია, რომ სანქციის დამძიმებით სამართალდარღვევათა შემთხვევების შემცირების არაეფექტიანობაზე არაერთი კვლევა მიუთითებს. გარდა ამისა, **განმარტებით ბარათში** ვკითხულობთ, რომ წვრილმანი ხულიგნობისთვის გერმანიის კანონმდებლობა 1 000 ევრომდე, ხოლო დიდი ბრიტანეთის კანონმდებლობა - 1 000 ფუნტამდე ჯარიმას ითვალისწინებს.

საქართველოში 1 ადამიანის საშუალო წლიური შემოსავალი 13,000 ლარია, შედარებისთვის ეს თანხა ინგლისში 31,500 ფუნტს, ხოლო გერმანიაში 40,000 ევროს შეადგენს. ჯარიმის ტვირთს საშუალო შემოსავლის მიმართ თუ ვნახავთ, საქართველოში არსებული 1,500 ლარიანი ჯარიმა წლიური საშუალო შემოსავლის 11.5%-ია, ხოლო ინგლისში არსებული 1,000 ფუნტი ჯარიმა, შემოსავლის 3.2% - ს შეადგენს, გერმანიაში არსებული 1,000 ევრო წლიური საშუალო შემოსავლის 2.5%-ია. დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოში ჯარიმის ტვირთი შემოსავლის მიმართ, 3.6-ჯერ აღემატება ინგლისში, ხოლო 4.6 - ჯერ გერმანიაში არსებულ სანქციებით გამოწვეულ ტვირთს.<sup>2</sup>
- 3. საერთაშორისო სტანდარტი სანქციებთან დაკავშირებით**

ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის მოსაზრებით არაპროპორციულმა სანქციამ, მათ შორის მკაცრმა ჯარიმამ, შესაძლოა დაარღვიოს შეკრების თავისუფლების უფლება და ჰქონდეს მსუსხავი ეფექტი, რომელიც მომავალში შეკრებასა და მანიფესტაციებში მონაწილეობის მსურველ პირს უბიძგებს თავი შეიკავოს პროტესტის გამოხატვისაგან.<sup>3</sup> ამასთანავე, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთხელ **განმარტა**, რომ არასათანადოდ მკაცრი სანქციის გამოყენებამ, შესაძლოა, მსუსხავი ეფექტის საფრთხე გააჩინოს.
- 4. სასამართლო სისტემაში არსებული პრობლემების გათვალისწინებით მიზანშეწონილია კანონპროექტის მიღება**

საკითხის პრობლემურობას ამძაფრებს ისიც, რომ სასამართლოში სამართალდარღვევათა პროცესები, როგორც წესი, ძირითადად „კონვეიერული წესით“ მიმდინარეობს: საქმეთა განხილვა ხშირად ევროპული კონვენციით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლების უგულვებელყოფით ხდება. ამ პროცესში დასჯილი არ არის მხარეთა შეჯიბრებითობა და თანასწორობა, სათანადოდ არ ხდება მტკიცებულებების გამოკვლევა, დაკავებულები ვერ ახერხებენ იმ მინიმალური უფლებებით სარგებლობასაც კი, რომლებსაც სამართალდარღვევათა კოდექსი ითვალისწინებს. საბოლოოდ, გადაწყვეტილება, ძირითადად, მხოლოდ პოლიციელის ჩვენების საფუძველზე მიიღება.

ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური და სოციალური კრიზისის ფონზე, მაშინ როდესაც საზოგადოების პროტესტი მზარდია, ხოლო ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა უკიდურესად მძიმე, ხელისუფლების მხრიდან გადადგმული ეს ნაბიჯი შესაძლოა მიუთითებდეს მათ ინტერესზე, საზოგადოებაში არსებული მზარდი პროტესტის ტალღის შეკავება არა პრობლემის მოგვარების გზით, არამედ რეპრესიული მექანიზმის გაძლიერებით შეძლოს. სწორედ ამ გზით განავითარეს საკუთარი კანონმდებლობა იმ ქვეყნებმა, სადაც შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება სათანადოდ არ არის უზრუნველყოფილი, მაგ., **რუსეთმა** და **ბელარუსმა**, სადაც სანქციების გამკაცრება სამოქალაქო შეკრებებსა და მანიფესტაციებთან დაკავშირებულ სამართალდარღვევებზე სწორედ მსუსხავი ეფექტის გამო მოხდა.

მოვუწოდებთ, საქართველოს პარლამენტს აღნიშნულ ინიციატივას არ დაუჭიროს მხარი და მძიმე ეკონომიკური ფონის გათვალისწინებით, არ გაზარდოს ჯარიმების ოდენობა.

1 საზოგადოებრივ ადგილებში ლანძღვა-გინება, მოქალაქეებზე შეურაცხმყოფელი გადაკიდება და სხვა ამგვარი მოქმედება, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგსა და მოქალაქეთა სიმშვიდეს.  
2 World Economic Outlook Database, IMF, available: <https://cutt.ly/obwui1>  
3 European Commission for Democracy through Law (Venice Commission) and Office for Democratic Institutions and Human Rights (OSCE/ODIHR), Guidelines on Freedom of Peaceful Assembly (3rd Edition), 8 July 2019, para. 36 [https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD\(2019\)017-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD(2019)017-e)